RE: Simplified Regimens and Primary Care/Harm Reduction

Ekaterine Adamia <eadamia@moh.gov.ge>

Thu 1/4/2018 6:42 PM

To:Sopo Belkania <sbelkania@moh.gov.ge>; Marina Darakhvelidze <mdarakhvelidze@moh.gov.ge>;

სოფო მოგესალმები, გილოცავ ახალ წელს და დამდეგ შობას! სიკეთის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს!

რაც შეეხება ფრანცისკოს წერილს:

გაცნობებ, რომ C ჰეპატიტის დეცენტრალიზაციის საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრის შემდეგ, განხორციელდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა სამ დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით:

1. FIND პროექტი ზიანის შემცირების 8 ცენტრში პროგრამის ინტეგრირების შესახებ;
2. ინფექციურის პროექტი პჯდ 4 ცენტრში პროგრამის ინტეგრირების შესახებ;
3. მრჩეველის და ნეოლაბის პროექტი პაციენტის მოძრაობის გზის გამარტივების შესახებ.

მოკლედ წარმოგიდგენ პროექტების ფარგლებში განსახორციელებელ/განხორციელებულ აქტივობებს:

1. FIND პროექტის ფარგლებში:
   ა) დაწყებულია პროექტის ინტეგრაცია ELIMC ელექტრონულ ბაზაში (პროექტში ჩართული ზიანის შემცირების ქსელის 8 ცენტრისთვის უნდა გაკეთდეს სამი განსხვავებული ტიპის წვდომა ბაზაზე).
   ბ) დეკემბრის თვეში განხორციელდა სამუშაო ვიზიტი ზიანის შემცირების ერთ-ერთ ცენტრში (ახალი ვექტორი - New Vector), მათი მკურნალობის კომპონენტში ინტეგრირების მიზნით. მიეცათ რეკომენდაციები რეგულირებისა და პროგრამის მიმწოდებლისთვის სავალდებულო მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, თუმცა, პარალელურად ცენტრის თანამშრომლებს შეექმნათ პრობლემები ფართის მეიჯარესთან და დროებით შეაჩერეს აქტივობები. ამ ეტაპზე, შერჩეული აქვთ ახალი ფართი (აფორმებენ ხელშეკრულებას იჯარის შესახებ), სადაც მომდევნო კვირას დაგეგმილია მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტი სიტუაციის შესაფასებლად.
   გ) პროექტის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს პროექტში ჩართული ზიანის შემცირების ცენტრების თანამშრომელთა ტრენინგები.

2. ინფექციურის პროექტის ფარგლებში:
   ა) დაწყებულია პროექტის ინტეგრაცია ELIMC ელექტრონულ ბაზაში (პროექტის ფარგლებში გამარტივებულია მკურნალობაში ჩასართვად საჭირო დიაგნოსტიკური კვლევების ალგორითმი, რისთვისაც უნდა შეიქმნას ცალკე ხაზი პროგრამაში, ასევე ბაზაზე წვდომა უნდა მიეცეს პროექტის მიმწოდებელ პჯდ დაწესებულებებს(მათი შერჩევის შემდეგ));
   ბ) 27 დეკემბერს დამტკიცდა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა C ჰეპატიტის მართვა პჯდ რგოლში; პროექტის დაწყებამდე უნდა განხორციელდეს პროექტში ჩართულ პჯდ _ექიმთა ტრენინგები აღნიშნული აკრედიტებული პროგრამის საშუალებით.

3. მრჩეველისა და ნეოლაბის პროექტის ფარგლებში დაწყებულია მუშაობა ELIMC ელექტრონულ

ბაზაში პროექტის ინტეგრირების თემებზე.

სამივე პროექტის ფარგლებში ELIMC ელექტრონული ბზის ცვლილებები განხორციელდება ეტაპობრივად და პროექტების ავტორებთან შეთანხმებით, დასრულების ვადები განისაზღვრება დაახლოებით 15 თებერვლით FIND პროექტისთვის, 15 მარტით ინფექციურის პროექტისთვის და 15 აპრილით მრჩეველი-ნეოლაბის პროექტისთვის. იანვრის ბოლოსთვის დაგეგმილია პროექტების ინტეგრაცია C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის N169 დადგენილებაში.

მომდევნო კვირას, ტექნიკური დეტალების დაზუსტების მიზნით დაგეგმილი მაქვს მორიგი სამუშაო შეხვედრა პროექტების ავტორებთან, ELIMC ტექნიკური ჯგუფის მონაწილეობით.

საუკეთესო სურვილებით,

ეკა

From: Sopo Belkania [mailto:sbelkania@moh.gov.ge]
Sent: 2018 წლის 04 01, ხუთშაბათი 13:29
To: Marina Darakhvelidze; Ekaterine Adamia
Subject: FW: Simplified Regimens and Primary Care/Harm Reduction

მოგესალმებით,

გილოცავთ ახალ წელს!

გიგზავნით ფრანცისკო ავერჰოფის მიერ გამოგზავნილ მეილს, გთხოვთ გაეცნოთ. ასევე იხილეთ ბატონი დავითის მეილ.

გთხოვთ მომწეროთ შემდგომი ნაბიჯები.

საუკეთესო სურვილებით,

სოფო ბელქანია

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აკ. წერეთლის გამზირი 144, თბილისი, საქართველო, 0159
მობ: +995 599 223232

From: David Sergeenko [mailto:dsergeenko@moh.gov.ge]
Sent: Thursday, January 4, 2018 11:40 AM
To: Sopo Belkania
Subject: Re: Simplified Regimens and Primary Care/Harm Reduction

მადლობა სოფო
იქნებ ეს წერილი მარინა დარახველიძეს და ეკა ადამიას გადაუგზავნო რა.
საჭირო იქნება პროგრამაში ცვლილებების შეტანა და მთავრობის სხდომაზე გატანა ამ პილოტის დასაწყებად.
მადლობა

From: David Sergeenko [mailto:dsergeenko@moh.gov.ge]

Sent: Thursday, December 14, 2017 2:36 PM
To: Sopo Belkania
Subject: FW: Simplified Regimens and Primary Care/Harm Reduction

---

From: "Averhoff, Francisco (CDC/OID/NCHHSTP)" <fma0@cdc.gov>
Date: Wednesday, December 13, 2017 10:38 PM
To: Davit Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>
Cc: "Skaggs, Beth (CDC/CGH/DGHP)" <bgs7@cdc.gov>, "Gamkrelidze, Amiran (CDC ncdc.ge)" <a.gamkrelidze@ncdc.ge>, "Nasrullah, Muazzam (CDC/OID/NCHHSTP)" <hij9@cdc.gov>
Subject: Simplified Regimens and Primary Care/Harm Reduction

Dear Dr. Sergeenko,

Thank you for hosting us in Georgia, it was great to see you and to move this important program forward. I think that great progress was made.

As discussed during the decentralization meeting, there are proposed implementation projects to begin to rollout simplified regimens and screening, care and treatment services in harm reduction and primary care settings. These concepts have been discussed, proposals developed and approved by the scientific committee. The approved proposals are attached. In order to implement these projects, the primary investigators need government (i.e. MOLHSA) approval. These projects are ready to be rolled out and will help inform the national rollout of simplified regimens and services in harm reduction and primary care services. Please confirm your approval of these projects and/or advise if you need any additional information.

Please note that these projects are intended to precede the national rollout, but do require MOLHSA approval. For the national rollout, these concepts will be further elaborated and will be presented to the scientific committee and we will discuss the results with you at that time.

Please let us know if you have any questions/comments or would like to speak.

Best, FA

Francisco Averhoff MD, MPH
CAPT US Public Health Service
Associate Director for Global Health
Division of Viral Hepatitis
National Center for HIV/AIDS, Viral Hepatitis, STD, and TB Prevention
Centers for Disease Control and Prevention
1600 Clifton Road, MS G-37
Atlanta, GA 30333
phone: 404-718-8501
fax: 404-718-8588
e-mail: fma0@cdc.gov